შინაური საქმეები

ყოველკვირეული გაზეთი.

№ 19.

ოთხშაბათი, ივნისი 3, 1909 წ.

ფასი წლიურად — — 4 მ.ნ.
ნახევარი წლით — $2^1/_2$ მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: ქუთაისი 3 ივნისი; წმ. მთავარ მოწამე გიორგის სახელზე დაარსებულ „ძმობის“ გამო—ქვაციხელ-საბაჟოელისა; სახარების სიდიადე—ე. ჩ.—ძი-სა; ვაი ჩვენი ბრალი (გაგრძელება) №-სა; ჩემი მადლობა, სამდურავი და ბოდიში—ლადო ნაცვლიშვილისა; ჭადარა შგოსანი (ლექსი)—მდ. მ. კელენჯერიძისა; უფლების გადაპარბება—ნიკო აბზიანიძისა: კრიტიკა—ხომლელისა; ყოველად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპარქიალიარი; განჩინება.

ქოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით $2^1/_2$ მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ამაღ[illegible] ხელის მომწერ-ლებს დაეთმობა 1 მ[illegible] კაპ.

ქუთაისი 3 ივნისი.

გაზეთები დაქინებით გაიძახიან ექსარხოსობა ისპობაო. რამდენად მართალია ეს ამბავი არ ვიცით, ვფიქრობთ კი, რომ სინოდი არ შეელევა საქართველოს ექსარხოსს, თუ ის იმავე პოლიტიკას ადგია სარწმუნოების საქმეში, რომელსაც დღემდის ადგა, ე. ი. ეკლესიას უეურებს, როგორც ერთ სახელმწიფო დაწესებულებას, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ცნობილ პოლიტიკურ სისტემას ქართველების შესახებ. გაზ. „დროებას“ ცოტა გული სტკენია ამ ამბის გამო და, როგორც ეტყობა, არ უნდა მოიშალოს ექსარხოსობა, რადგან ეს მოაგონებს მას საქართველოს ეკლესიის მთლიანობას. იგი სწერს, რომ საქართველოს ეკლესიას, რომელიც სრულ ავტოკეფალობას თხოულობდა, ესპობა უკანასკნელი ნიშანიც კი თავის მთლიანობისა და თვითარსებობისაო.

ყოველ მართვა-გამგეობას თავის ღირსება-ნაკლულევანება აქვს. დღევანდელ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობაც, შეიძლება, არ იყოს ღირსებას მოკლებული, თუნდა იმ მხრით, რომ მან დაიცვა ამ ეკლესიის მთლიანობა, მაგრამ „რადაა იგი სინათლე რასაცა ალავს ბნელია“, ბნელი, რომელიც სჭარბობს სინათლეს.

ყოველი საეკლესიო მართვა-გამგეობა უნდა ფასდებოდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად ამტკიცებს და აერცელებს იგი მაცხოვრის უკვდავ მოძღვრებას, რამდენად ავითარებს და ამაღლებს იგი მორწმუნეთა ზნეობას და უმზადებს ნიადაგს ღვთის სასუფევლის ქვეყნად დამკვიდრებას. თუ საეკლესიო [illegible]

ქ. ფოთლის ფ.ბ. ნაქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბ. ლიტერატურა

ამ პრინციპს იცავს, რა თქმა უნდა, მისგან შენახული მთლიანობაც სანუკვარია და სასარგებლო, ხოლო თუ იგი ამ მხრივ კოტორია, რადას ნიშნავს მაშინ ურწმუნო და უზნეო კრება მორწმუნეთა, რის მაქნისია რადაც მთლიანობა, ან რაზედ უნდა ეფუძნებოდეს იგი, გარდა გარეგანი ძალისა, რომელიც არც სანატრელი და არც საიმედო არ არის. შეიძლება ასეთ მთლიანობას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, ეს დიპლომატებს უხაროდეს და არა მას, ვინც მოწოდებულია დამწესოს ეკლესია.

გადაავლეთ თვალი საქართველოს მკვიდრთ, დაკვირდით მის ზნეობრივ-სარწმუნოებრივ მდგომარეობას და თქვენ აშკარად დაინახავთ თუ რა ჰქნა არსებულმა საეკლესიო წესწყობილებამ აღნიშნულ პრინციპის განსახორციელებლად. სრული სარწმუნოებრივი გულ-გრილობა, უძალღესი ზნე დაცემულობა თავის შედეგებით, აი რა გააკეთა იმ საეკლესიო წესწყობილებამ, რომელსაც მისტირის უკან გაზ. „დროება“.

სხვათა შორის „დროებას“ მისთვის სდომებია ექსარხოსობის შენახვა, რომ ვინ იცის, ერთხელაც ეოფილიეო, ქართველი ექსარხოსი გაგვჩენოდა. თუმცა ასეთი მოლოდინი უსუსურობაა გაზეთის მხრით, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, რას გააკეთებს ქართველი ექსარხოსი? განა იგიც ისეთივე ტეკვე არ იქნება სინოდისა როგორიც ეკენ დანარჩენები. ექსარხოსს ვარლაამ ერიხთავიდან დაწყებული?, რა გამოვა, კაცს რომ ხელები შეუკრა და სამუშაოდ გაგზავნო, ან ენა ამოგლეჯო და საბოლოოდ ასპარეზზედ დააყენო? რას გვიშველის აქ ქართველობა? განა ცოტა ვიცით ექსარხოსების ქართველი ვიკარნები, რომელთაც განაილება ხელს უწყობდათ, რამე გაეკეთებინათ? მაგრამ რა გააკეთეს მის მეტი, რომ თავის დღენი ტუსაღებად იჯდენ თბილისში და ნება არ ჰქონდათ საამწესოს მოჩვენებოდენ, ან რამე სასიკეთო, სარწმუნოების განმამტკიცებელი ზომები მიეღოთ.

კაი ხანია დრო იყო, საქართველოს ეკლესიის არსებული მართვა-გამგეობა შეცვლილიყო; ეხლა ხომ ეს საკითხი მომწიფებულია და მისი ჩაფუჩეჩება არავის სარგებლობას არ მოუტანს; მხოლოდ საძუხარო ის არის, რომ ეს საკითხი გამოწვეული შეიქმნა უკანასკნელ ექსარხოსის საზიზღარ მკვლელობის გამო.

ექსარხოსობის მოსპობის საქმე ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს, არამედ ის უნდა გვაფიქრებდეს, თუ როგორ საუკეთესოდ მოეწყოს ჩვენი საამბობლო ეკლესიის მომავალი მართვა-გამგეობა. აი ამ საკითხს უნდა უტრიალებდეს და არკვევდეს დღეს ჩვენი ჭრესა, თუ მას გული სტკივა მართლ-მადიდებელ ეკლესიაზე, მაგრამ სად არის დღეს ასეთი გულშემატკივარი ჟურნალ გაზეთები ჩვენში?!

წმ. მთავარ მოწამე გიორგის სახელზე დაარსებულ „ძმობის“ გამო.

„მცნებასა ახალსა მიგცემ თქვენ, რათა იყვარებოდეთ ურთიერთარს (იონ. 13 34).

ერთმანეთის სიყვარული, მოყვასთათვის თავდადება, ძმობა და გამტანობა გვიანდერძა ჩვენთვის განხორციელებულმა და ჯვარცმულმა ქრისტე ღმერთმა და ვისაც სწამს ღვაწლი იესო მაცხოვრისა კაცობრიობისათვის და ვინც შეგნებულად ატარებს სახელს ქრისტიანისას, ის მოვალეა ნიადაგ გათვალისწინებული ჰქონდეს ქრისტეს დიადი მცნება ძმობისა, სიყვარულობისა და ერთმანეთის გამტანობისა და კიდევაც უნდა ანხორციელებდეს ასე ვითართა თავისს ქცევა მოქმედებაში და ადამიანებთან დამოკიდებულობაში. მხოლოდ ამ პირობით იქნება ის ნამდვილი ქრისტიანი, ნამდვილ ღირსეულად მატარებელი ამ დიდი წოდებისა. („არა ყოველთა, რომელთა მრქვან: უფალო, უფალო შევიდეს სასუფეველსა ღვთისასა, არამედ რომელთა ჰყონ ნება მამისა ჩემისა“, ბრძანებს მაცხოვარი სოფლისა.) ყველაზე უმეტესად ამ ნაანდერძევ თვისებათა და დარიგებათა გაღვივება-გაძლიერებისა, როგორც თავიანთ გულში ისე სხვისაშიდაც, მოვალენი არიან ისინი, რომელნიც იწოდებიან „მარილად და ნათლად სოფელ-ქვეყნისა დ მწყემსად პირმეტყველთა ცხოვართა. ესენი ჟამითი და უჟამოთ უნდა ფრთხილობდნენ და ყოველთვის აბრთხილებდნენ თვისთა სამწყსოთა, რომ რაიმე წინააღმდეგი ქრისტეს ღვთიური მცნებისა, რაიმე შეურაცხმყოფელი მისი წმიდა და სათაყვანო სახელისა არ ჩნდებოდეს მათ შორის. სამწუხაროთ უნდა აღვიაროთ და ყველასათვისაც ცხადია დღეს, რომ ასეთი გულმოდგინეობა, ასეთი ფხიზლობა ვერ გამოუჩენიათ ამათ, არ სცდილან რომ სიყრმიდგანვე ჩაენერგათ ხალხის გულში ქრისტეს სწავლა-მოძღვრება, რომ აღეზარდათ იგინი „მამაკაცად სრულად“, როგორც სწერს პავლე მოციქული; ხალხს რომ ძვალრბილში ჰქონოდა გამჯდარი და შესისხლხორცებული ქრისტიანული ჭეშმარიტებანი ის არ მოხდებოდა, რის მოწამეც ჩვენ ვართ: უსაოსობა, ურწმუნოება, უბირულობა, იუდაობა და სხვა. ამისთანებს ვამჩნევთ ყველგან და ყველაში თითქმის. რომელ ჩვენგანს შეუძლია გულწრფელად და თამამად სთქვას, გავაკეთე რაც შემეძლოო, და რათ გვიკვირს დანი ვისი ბრალია, რომ სამწყსომ ზურგი შეგვაქცია და სარწმუნოებაზედაც გული გაუგრილდა? პირველ საუკუნეთა ქრისტიანები თუ ნამდვილად ასრულებდნენ ქრისტიანობას, თუ მათ თავისი ცხოვრება აღბეჭდეს ქრისტესთვის და მოყვასთათვის თავდადებით ეს იმ ტოტ, რომ ისინი ხედავდენ და ბაძავდენ თავის წინამძღვრებს აღტყინებულთ ქრისტეს სიყვარულით და მოყვასთათვის თავდადებით, ჩვენი დროის ქრისტიანებმა კი დიდი ხანია გადაუხვიეს სწორ გზას; უღალატეს ჭეშმარიტებას და ნაცვლად ქრისტესსა ემსახურებიან მამონასა; მხოლოდ სახელი ლა შეგვრჩენია ქრისტიანისა და სხვა არაფერი; უმეტესი ზრუნვა ჩვენი მიქცეულია ჩვენივე პიროვნებაზე, ჩვენივე „მეს“ გასადიდებლად; მთელ ჩვენ სულიერ და ხორციელ ძალას მისთვის ვხმარობთ, რომ გავმდიდრდეთ, ფუფუნებაში ვიყოთ და დავიმკვიდროთ მთელი ქვეყანა; გვავიწყდება კი, რომ „ოდეს ყოველივე შევიძინოთ, საფლაკივე დავიმკვიდროთ“. სიხარბით, ნდომათა დაუსრულებლობით ჩვენ მივემსგავსებით იმ ზღაპრულ მებადურის დედაბერს რომლის თავმოყვარეობას და ნატვრას არ ჰქონდა დასასრული და რომელიც დაღუპეს ასეთმა თავხედობა-სიხარბემ. შური, სიხარბე, გაუმაძღრობა, გამცემლობა და სხვანი ასეთნი თვისებანი თანამავალნი არიან თითქმის ყველა ჩვენთაგანისა. „ჭირში მყოფი, ბედით ჩაგრული“ განა ბევრს გვახსოვს? განა ქრისტიანია ის, ვინც სიამოვნებით შეექცევა ათასნაირ ტკბილ-ტკბილ საჭმელებს, მოფარდაგებულ სახლში განისვენებს, ფორტოპიანოსა და როიალზე დამღერის იმ დროს, როცა იქვე მის მახლობლად ეგულება მშიერი, ხატათ ღვთისად დაბადებული ადამიანი, მონატრული ლუკმა პურისა და ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, ერთ ნამცეცსაც არ გაიმეტებს მისთვის, ფინიებისთვის, ძაღლებისთვის კი უხვად

იხარჯება ეს ვითომ და ქრისტესთან შეერთებულ-შეკავშირებული ქრისტიანი ვაჟბატონი? განა ქრისტეს მხედრია ის ვინც უყურებს-რა ქვრივ-ობოლთა ტანჯვა-წვალებას, ათასნაირ უსამართლობას, სარწმუნოების, ქრისტეს სჯულის ფეხით გათელვას, არ ღელდება ამით და არ სცდილობს გზა დაბნეული ადამიანის სწორ გზაზე დაყენებას? და ასეთები ხომ მრავალზე უმრავლესია ჩვენ—ქრისტიანებში. სად და რაში ვეძიოთ მიზეზი ჩვენი არა ქრისტიანობისა? განა—რომ „მარილი განქარდა და სადაე დაამარილოს“? განა რომ ხალხს აღარ ჰყავდა ნამდვილნი დარაჯნი, მწყემსნი და წინამძღარნი და ისიც აირია? განა,—რომ ლამპარს გამოელია ზეთი და აღარ სცემს სინათლეს? ვეღარ ვმოქმედებთ ჩვენ საკეთილოდ და ღვთის საამოთ, თუ ხელახლავ არ განვიცხოველეთ ქრისტეს მოძღვრება, თუ არ შეექმენით ისეთი პირობები, რომელნიც აავარჯიშებს ჩვენ სულიერ ძალთა, შეგვაყვარებენ ქრისტეს ჭეშმარიტი სიყვარულით, შეგვაერთებ დაგვაახლოებენ მასთან, და აგვამოძრავებენ განსახორციელებლად მისთა დიადთა მცნებათა.

ასეთი პირობები უკვე შექმნილია: ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის მეთაურობით და სხვათა ქრისტეს მოყვარულთა პირთა მეცადინეობით. ქუთაისში დაარსდა წმ. მთავარ-მოწამე და ძლევა-შემოსილი გიორგის სახელობაზე ძმობა, რომელსაც აქვს მიზნად ხელი შეუწყოს ხალხში ჭეშმარიტ სარწმუნოების განმტკიცებას, დაკარგულ, გზა-დაბნეულ ცხოვართა გამობრუნება—მოპოებას. „ძმობა, ძმობა“,! რა დიდი და მაღალი წოდება და სახელია: ქრისტემ გაგვხადა ღირსი თავის ძმად წოდებისა და ჩვენ კი მედიდურად გამოვიცქირებით და ძმად იმას ვთვლით, ვინც მდიდარია და შეძლებულია. საწყალნი, ღარიბნი კი ჩვენც ისე განაპირებულნი გვყავს, როგორც სხვათა ძლიერთა ამა სოფლისათა, და ხშირად გვრცხვნის „ძმად წოდებად მათი“, რაც იყო, იყო! აწკი ამ „ძმობის“ დროშის ქვეშ თავი უნდა მოიყაროს ყველამ; ყველამ ხელი უნდა შეუწყოს და დაეხმაროს ამ კეთილ დაწესებულებას,—სამი მანეთი წლიური გარდასახადი არ არის ისეთი რამ დიდი, რომ ამან შეაშინოს და დააბრთხოს ქრისტეს მოყვარე პირი. რასაკვირველია ყველაზე უწინ ამ „ძმობას უნდა გაუწიოს ძმობა და თანაგრძნობა სამღვდელოებამ, რომელი მღვდეიც გინა მედავითნე არ მოისურვებს ამ ძმობის წევრობას, ის დაამტკიცებს. რომ თავის ადგილზე არა სდგას და ამისთანებს მრევლმაც და თანამოძმე სამღვდელოებამაც ალმაცერად და მრუდეთ უნდა დაუწყონ ყურება.

დიად, სექმე სიმპატიური, საქმე მეტათ ღირსმნიშვნელოვანი დაწყებულია და თუ ერთ საათს მაინც დაფიქრდება ქრისტიანი ადამიანი თუ ვინ არის ის ან რა ეთხოება მას როგორც ქრისტიანს, ამ საყურადღებო დაწესებულობის არსებობა და ნაყოფიერობა უზრუნველ ყოფილი შეიქნება. დიდი, მეტათ დიდი ღვაწლი და შრომა მოელის ამ საქმის მეთაურებს, ისინი უნდა განიმსჭვალონ მოციქულებრივი მოთმინება—თავდადებით, არ უნდა შეუშინდენ საზოგადოების გულგრილობას, უნდა აღვიძებდენ დაუდევარ და მიძინებულ სამღვდელოებას, დრო და დრო სოფლებისაკენაც უნდა გაეშურონ და ცოცხალი სიტყვით მოინადირონ თანამგრძნობელი, და რაც უნდა დაბრკოლება შეხვდეთ ამ მესვეურებს ამართული და გაშლილი დროშა ხელიდგან არ უნდა გაუშვან.

თუმცა ამას განმარტება არ უნდა, მარა ენა არ მიჩერდება, რომ არ ვსთქვა, რომ სარწმუნოების გაცხოველება-განმტკიცება ხალხში ერთობ დიდი საქმე და მიზანია, მარა ამ მიზნამდის მიგვიყვანს არა მარტო სიტყვა, ქადაგება, ზნეობრივ-რელიგიურ წიგნაკების გავრცელება, არამედ ცხოველი მაგალითი მეთაურთა, მოძღვართა და ყოველი ძმობის წევრისა. ქრისტეს მოციქულები და სხვა წმინდანები ბევრ კეთილ საქმესთან სასწაულებსაც იქმოდნენ და მით იზიდავდენ ხალხს, მით აღვიძებდენ მისს გულში სარწმუნოებას, ჩვენ სასწაულების ქმნის ძალა არ გვაქვს მოცემული, მარა სხვა კეთილი საქმით, კი შეგვიძლია დავაინტერესოთ და მივიზიდოთ სარწმუნოებაზე გულგრილნი პირნი. ამისათვის არ კმარა მარტო წევრად ჩაწერა და საწევრო ფულის გარდახდა, ამით არ შეიძლება მთლად ქრისტიანული ვალის მოხდა: ყოველი წევრი ამ ძმობისა უნდა გაიმსჭვალოს ნამდვილი გრძნობით და სხვაფრივაც დაამტკიცოს თავისი ქრისტიანობა, თორემ რა გამოვიდა „ძმობაში“ ითელეზოდე და ძმობა-ამხანაგობას სახელს უტეხდე

თავისი ცუდი ყოფა-ქცევით. მაძღარმა, რომ მშიერს დაუწყოს ქადაგება—მარხვა მოთმინებაზე, მდიდარმა და ძვირფასად მორთულმა ელაპარაკოს შიშველს, რომ ტანისამოსი რა საჭიროაო მოითმინე სიშიშვლეო, ან რა სამართლიანობა იქნება და ან რა გასავალი ექნება ასეთ ქადაგებას. „ამითი იცნობებით, რომ თქვენ ჩემნი მოწაფენი ხართ თუ ერთმანეთი გეყვარებათო“, უბრძანა მაცხოვარმა თავის მოწაფეებს. და ძმობის წევრნიც იმითი უნდა იცნობებოდნენ, რომ მათ შორის უნდა იყოს კეთილ განწყობილება და ერთ სულოვნობა მათ მიერ აღრჩეულ მიზნის განხორციელებისათვის.

ქვაციხელ-საბაეოელი.

სახარების სიდიადე*).

> და სთქვა იესომ მოწაფეთა მისთა: უკეთუ დაადგრებით სიტყვათა ჩემთა... იცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება განგათავისუფლებს თქვენ
>
> (იოან. 9 თ. 31—32 მ.)

(დასასრული*).

აი ეს სულიერება, რომელიც განსაკუთრებულ კუთვნილებას შეადგენს ქრისტიანული სარწმუნოებისას, არის თავდები კაცობრიობის უსაზღვრო პროგრესიული განვითარებისა. შეხედეთ იმ ქვეყნებს, სადაც ქრისტიანობა არ არის (ოსმალეთს, ჩინეთს, ინდოეთს და სხვა ქვეყნებს) იქ ადამიანთა ტომს ღრმად სძინავს დიდი ხანია.

შემდეგ შეადარეთ ამა საქრისტიანო აღმოსავლეთის საუკუნო სულიერი ძილი სახარებით განათლებულ დასავლეთ ხალხთა სოციალურ ცხოვრების განუწყვეტელ პროგრესთან და თქვენ იძულებული იქნებით შეიცნოთ, რომ ამა არა ჩვეულებრივი საზოგადოებრივი განვითარების პროცესის ძირითადი ფაქტორი არის სწორედ ქრისტიანობა, იმის სული.

იაპონიამ ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში განსაკუთრებული წარმატება გამოიჩინა ევროპის კულტურის შეტანით, მაგრამ ის არ შადგენს გამორიცხვას, რადგანაც ის არ ანათებს თავის სინათლით, არამედ ევროპიდან გადმოტანილით. იმას მოხერხებულად გადააქვს სხვისი, მაგრამ თავისი კაცობრიობის კულტურის სალაროში არაფერი შეუტანია.. მხოლოდ სახარიბამ, რომელმაც ქადაგა ღმერთი სიყვარულისა, მამა ყოვალთა ადამიანთა, დაუდო დასაბამი კაცობრიობის ჭეშმარიტ ძმობას, დაარღვია საერთაშორისო საზღვრები, განათავისუფლა მონები ჯაჭვებისაგან, აღამაღლა ადამიანის პიროვნება, გვასწავლა თვითეული ადამიანის ზნეობრივი ღირსების პატივის ცემა მიუხედავად იმისა, თუ რომელ შთამომავლობას, კლასს, ანუ საზოგადოებას ეკუთვნის ის. „ამიერიდან არ იქნება არც იუდელი, არც ბერძენი, არც ბატონი და მონა, არცა დედაკაცი და მამაკაცი, ვინაიდან ქრისტეს მიერ ყველანი თანასწორნი არიან.“ ასე სწერდა წარმართთა დიდებული მოციქული და ამ სიტყვებით იმან შექნა კაცობრიობის ისტორიაში ახალი ხანა.

ღვთის წინაშე ადამიანთა თანასწორობის შეცნობამ ჩვენს ევროპიულ განათლებაზე გადამწყვეტელი და წაუშლელი გავლენა იქონია. ის ყოველთვის ალმობიერებდა და ალმობიერებს დამამცირებელ კლასობრივ განსხვავებას, იმან ჩქარა აღიყვანა მონები უფრო მაღალ მდგომარეობამდი და ჩააგონა იმათ გრძნობა მასში ჩანერგილ ღირსებისადმი. ბენჟამენ კიდი, შესანიშნავი ჭკვიანი და ორიგინალურ წიგნის „სოციალური ევოლიციის“ ავტორი შენიშნავს:, თუ ჩვენ მივცემთ თავის თავს საკითხს, რაში მდგომმრეობდა ევროპიელ ხალხთა კანონმდებლობის ისტორია ამ დიდი ხნის განმავლობაში ჩვენამდე, მაშინ ჩვენ შევეჩეხებით ძლიერ საგულისხმიეროთ საგნებს. ამ პერიოდის მთელი ისტორია შეიძლება გამოითქვას რამდენიმე სიტყვებში: ეს უბრალო ისტორია დათმობათა მთელი რიგისა, რომელსაც თხოულობდა და იღებდა უფლების, კაპიტალის, საზოგადო გავლენის მექონის და უფრო ძლიერი პარტიისაგან, პარტია თავის მდგომარეობით უფრო დაბლა მდგომი, რომელიც

*) იხ. „შინ. საქ.“ № 18.

შესდგება დაბალ კლასიდან. იმათგან, ვინც ეწეოდა მძიმე შრომას. ამ ნაირად ცხოვრებაში დაბეჩავებულთ გამარჯვება მთლად იმათ დაჟინებულ მოთხოვნებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ უმთავრესად ამის მიზეზია ისა, რომ ჩვენ განათლებაზე ალტრუისტულ გრძნობების გავლენის გამო მდიდრები და ძლიერნი კარგვენ რწმენას მათ განსაკუთრებულ და უპირატეს მდგომარეობის სამართლიანობაში, ისინი სტოვებენ თავიანთ სიმაგრეებს, თმობენ თავის პოზიციებს და თანხმდებიან ნაწილ-ნაწილად გაუყონ ის უფლებები, რომელიც წინეთ მთლად განსაკუთრებულ მათ კუთვნილებას შეადგენდა. ამაში არის ნამდვილი მნიშვნელობა იმ განსაცვიფრებელი სურათისა, რომელსაც ვხედავთ ქრისტიან ხალხთა ისტორიაში და რომელიც შეუძლებელი იყო ქვეყანაში იესო ქრისტეს მოსვლამდი".

რითი აიხსნება ეს პატივის ცემა უნაროს ძმათა უფლებისადმი, ბედისაგან რჩეულთა შებრალება ცხოვრებაში ჩაგრულთა, ბედის გერთა მიმართ! უმთავრესად ღვთის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობისა და სულის ცხონებაზე სწავლის გავრცელებით. რწმენა იმის, რომ თვითეულ ადამიანს, რაც უნდა ძლიერ ღარიბი და დაჩაგრული იყოს იგი, აქვს უკვდავი სული, შექმნილი ღვთის სახედ, რომ ის მოწოდებულია საუკუნო ნეტარებისადმი და მის დასახსნელად თავის სისხლით მოვიდა იესო ქრისტე, გვავალებს ჩვენ თვითეული ადამიანი მივიჩნოთ ჩვენ ძმად, რომ იმას აქვს უფლება ჩვენგან პატივისცემისა; ის უფლებას გვართმევს ჩვენ დამშვიდებული სინიდისით უარ ვყოთ იმის ღირსება და კეთილმდგომარეობა. „ეკრძალენით,—ამბობს ქრისტე—ნუ უკვე ვინმე შეურაცხყოთ ერთი მცირეთა ამათგანი" (მათ 18 ი. 10 ა.) წაართვით ეს რწმენა და ადამიანისაგან ადამიანის ძმად მიჩნევაც შეწყდება; მაშინ ის შეიქნება მხოლოდ ახალ ციფრად საერთო ჯამში, მეტ ბორბლად ვებერთელა მექანიზმში, გახდება ციფრად და ბორბლად, რომელიც დაფასდება არა თავისთავად სხვასთან შეუდარებლად, არამედ სარგებლობის მოტანის რაოდენობის მიხედვით. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ვსთქვათ, დიდებული მწერალი, სწავლული, ან მხატვარი მაგ. პასტერი, შექსპირი, ან მუსილიო გადაარჩენენ ათეულ უბრალო გლეხებს და დედაკაცებს, მაგრამ იმათ ხსნის დროს კი თვითონ იღუპებიან. ვაპრული ანგარიშის შეხედულებით ეს იქნება უგნური საქმე, უსარგებლო გაცვლა: ათი ხეპრე მუშის სიცოცხლეს ეწირება მსოფლიო გენიოსის სიცოცხლე; ძვირფასი ალმასი იცვლება ერთ მუჭა სპილენძის შაურიანებზე. სახარების შეხედულებით ეს იქნება უმთავრესი ღვაწლი, უუდიდესი სიყვარულის გამოხატვა. „უფროს ამისა სიყვარული არავის აქვს, რათა სული თვისი დასდვას მეგობართა თვისთათვის." (იოან. 15 ი. 13 მ.). როცა ჩვენ, ვადიდებთ პეტრე დიდს იმიტომ, რომ იახტასთან იმან გადაარჩინა დაღუპვას ჯარის კაცები, თუმცა ამას შემდეგ ის დაუძლურდა და კიდევაც მოკვდა, ამით ჩვენ ცხადათ ვამბობთ, რომ თანამედროვე ქვეყნის (ევროპის მაინც) თვალში ადამიანის სიცოცხლეს, მიუხედავად იმისა, თუ რა სოციალური მდგომარეობისაა ის, ერთნაირი აუნაზღაურები ფასი აქვს. მეცნიერებას ამ დებულების დამტკიცება არ შეუძლია და ხანდახან ვერც კი დაგეთანხმება ადამიანის თანასწორობაზე პარიზის ანტროპოლოგურ საზოგადოების წევრი ლეტურნო თავის თხზულებაში: „სოციოლოგია ეტნოგრაფიის ცნობებით" სწერს: „ადამიანების ტომთა შორის არსებობს ერთნაირი იერარქია .. ორგანიზაციის მხრით ხალხთა რასსები ძლივ გ ნირჩევიან ერთი მეორესგან; მაშინ, როდესაც ერთი ტირსია რჩეულთა რასსად მიჩნევის, სხვები უეცველად შეადგენენ ცალკე კლასს უარყოფილთა რასსისას ამისთვის კი კიდევ ამბობს: „წარმოდგენა დაბადებიდან ადამიანთა თანასწორობაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცივილიზაციის განვითარებაში, არსებითად არ არის გონების მოპოვებული; გონება და გამოცდილება ვერ ემხრობა ამას. ის შეადგენს თვისებრივ ნაყოფს იმ სარწმუნოებრივ სისტემისა, რომელზედაც დაფუძნებულია ჩვენი ცივილიზაცია" ესე იგი ქრისტიანობის.

ერთი სიტყვით, ქრისტიანობა არის

არა მარტო ცალკე პირთა ზნეობრივი განახლების წყარო, არამედ სიკეთეა მთელი კაცობრიობისთვის, ის არის ძარითადი ძალა კულტურისა, სოციალური პროგრესის განუწყვეტელი ზრდის. აიღეთ მაგ. კაცობრიობის ყველა კეთილშობილთა, თავგანწირულთა, მეგობართა და წინამძღვართა საუკეთესო და ნათელი ოცნებები, გააძლიერეთ ის რამდენათაც გინდათ, მაგრამ თქვენ მაინც ვერ იპოვით იმაზე უფრო მომხიბლავს მომავლის პერსპექტივას, რომელიც არის ნაჩვენები სახარებაში: ეს არის ღვთის სასუფევლის დედამიწაზე დამყარება და მოწყობა. როცა ჩვენ კარგათ შევიგნებთ ქრისტეს სახარების დედააზრს, მაშინ მივხვდებით, რომ კაცობრიობას არ აქვს და არც ექნება იმაზე უდიდესი მიზანი, რომელიც დაუსახელა იმას სახარებამ: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლეს მისსა“.

ე. ჩ—ძე.

ვაი ჩვენი ბრალი!

სურათები ქართველ სამღვდელოების ცხოვრებიდან.

(გაგრძელება *)

XX.

ერთ შეკრებილებაში მღვდელი ალექსანდრე გაცხარებული ამტკიცებდა, რომ სასულიერო პირთა დაჯილდოება მოსასპობია, რადგანაც იგი ერთი რომ არ შეფერის მათ მაღალწოდებას და მეორეც ისა, რომ იგი მათ მთავრობის მონებად ხდის და ბევრ ცუდ მოვლენებს ბადავს მათ ცხოვრებაშიო. მე, ამბობდა იგი, არასოდეს არ მიფიქრია და არც ვცდილვარ სხვებსავით, რაიმე ჯილდო მიმეღოვო. ეს იყო სეკტემბერში. შემდეგის წლის იანვარია. ჯილდორზე წარდგენის დროა. მღვდელი ალექსანდრე ბლაღოჩინთან მიდის და ანიშნებს მას, რომ იგი კამილაკვაზე წარადგინოს.

XXI.

ბენედიკტე მედავითნეს ძლიერ სურს მიიღოს მღვდლობის ხარისხი. თანაც უნდა თავის სოფელზე ახლო იშოვოს მღვდლობის ადგილი, მაგრამ მისი გამწესება ახლო არ ხერხდება, რადგან მას სოფელი არ ირჩევს, ანდა მასზე უფრო ღირსეულები წინ ეღობებიან. მიდის იგი მღვდელმთავართან და ეუბნება მას, მოიღეთ წყალობა, მაკურთხეთ მღვდლათ მედავითნის ადგილზეო. ეპისკოპოსი უარს ეუბნება. მედავითნის ადგილზე შენ მღვდლად კურთხევას ერთი რომ თვითონ საქმის სარგებლობა არ მოითხოვს და, მეორეც იგი კანონის წინააღმდეგიაო. „არა, თქვენ შეგიძლიათ, თუ მოინდომებთ“,—ეუბნება მედავითნე ეპისკოპოზს. „ძალიან მსურს მღვდელი გახდე, მაგრამ მაგის ქნა არ შემიძლია, უფლება არა მაქვს“, უთხრა ეპისკოპოსმა. პირადად ეპისკოპოსთან რომ ვერ გაარიგა საქმე, მიმართა საპატიო, გავლენიან პირებს, რომ ეშუამდგომლათ იმისთვის. ამათაც დაჟინებით სთხოვეს ეპისკოპოზს ეკურთხებია მედავითნე მღვდლათ.—ჩემს სიკეთეზე რომ არ ფიქრობენ ეს დალოცვილები?! კერძო, პირად სიკეთისთვის უნდათ ჩამადენინონ ისეთი საქმე, რომლისათვისაც მთავრობა გამკიცხავს და რასაც საზოგადოების სარგებლობა არ მოითხოვს,—სთქვა ეპისკოპოსმა თავის თავად.

XXII.

სამღვდელოების კრებაა. ზოგი მღვდელი დაჯინებით თხოულობს, რომ კრებამ მთავრობას ამა და ამ მოქმედებისათვის პროტესტი გამოუცხადოს. ბევრი მღვდელი ამის წინააღმდეგია. დიდი კამათია. ნამეტურ გაჰყვირის მღვდელი ზოსიმე, ლაჩრები ხართ, ლაჩრებიო,—უსაყვედურებს იგი მოწინააღმდეგე მღვდლებს,—გაბედეთ, ხმა ამოიღეთ, და დაგმეთ მთავრობის ქცევა, კმარა რაც გაჩუმებული იყავითო. ბოლოს როგორც იყო დასთანხმდენ გაეგზავნათ მთავრობისათვის წერილობითი პროტესტი. სანამ ამ პროტესტს შეადგენდენ, ორმა დღემ გაიარა. ჩამოატარეს მღვდლებში პროტესტის ქაღალდი ხელის მოსაწერათ; ჩვენი ზოსიმე ქალაქში არ აღმოჩნდა, სოფელში წაბრძანებულა და ამ ნაირათ თავს უშველა.

*) იხ. „შინაური საქმ.“ № 18.)

XXIII.

1905 წელს. ერთ სასულიერო სასწავლებლის გამგეობის სხდომაა. მასწავლებლებთან ერთად წევრებად ირიცხებიან სამი მღვდელი. ირჩევა საკითხი, თუ რა უყონ იმ შეგირდს, რომელიც ეკკლესიაში გამუდმებით არ დაიარება, გაკვეთილებს ხშირად სტოვებს, ცუდად სწავლობს და მასწავლებელსაც შეურაცხყოფას აყენებს.—ყოველივე გამსწორებელი ღონისძიება ვიხმარეთ და ვერა გავაწყეთ რა; ეხლა იგი სწორეთ უნდა მოვიშოროთ თავიდან; თვითონაც ფუჭდება და სხვებსაც აფუჭებსო,—გაიძახოდნენ მასწავლებლები. წამოვარდა მღვდელი ზაქარია. „არასოდეს, მამებმა თავისი შვილები სასწავლებელში იმისთვის შემოიყვანეს, რომ ჩვენ პედაგოგებმა ისინი გავასწოროთ“, და ამ საგანზე მან გრძელი აღფრთოვანებული სიტყვა სთქვა.

1908 წელს. იმავე სასწავლებელში სხდომაა. ინსპექტორმა გამგეობას მოახსენა, რომ მოწაფე X სადილის წინ ლოცვაზე იგვიანებს და მას აღკრძალული წიგნები აღმოაჩნდა. გამოვრიცხოთო, სთქვა უმრავლესობამ. მამა ზაქარიაც დასთანხმდა; მოსწავლის სასარგებლოდ ხმაც არ ამოუღია.

XXIV.

1906 წელს სამღვდელოების კრებაა. მღვდელმა ონიფანტემ მჭერმეტყველობით და გაბედულ ლაპარაკით თავი ისახელა. საშინლად ჭიცხავდა იგი სასულიერო მთავრობას. სხვებთან ერთად გაგზავნეს იგი დეპუტაციაში ეპისკოპოსთან. პირის პირ ეპისკოპოსს მამა ონიფანტე ძლიერ თამამად ელაპარაკებოდა და ბევრი მჭარე სიტყვა უთხრა მას; ბევრს მის მოქმედებას წუნი დასდო. „რა უნდა მიყონ, ხომ ვერ ჩამომახჩობენ“, გაიძახოდა იგი „სიმართლე უნდა აღვიარო და არაფერს არ შევუშინდებიო“. 1908 წელს სასულიერო მთავრობამ ერთი მღვდელი დასაჯა. მღვდლებმა მოინდომეს აეხსნათ ეპისკოპოსისათვის უდანაშაულობა დასჯილისა. დაეკითხენ მამა ონიფანტეს. „გაჩუმდით, რა ჩვენი საქმეა, თვითონვე ეძიოს იმან თავისი საქმე; სხვისთვის თავი რისთვის უნდა გავიფუჭოთო?“

XXV.

მღვდელს ონისიმეს ძლიერ ეჯავრება თავისი მეზობელი მღვდელი პეტრე. მას სურს მთავრობამ იგი შენიშნოს, გააუბედუროს და თვითონ გამწესდეს იმის ადგილზედ. ურჩევდა ორ სამ კაცს ეჩივლათ პეტრესთვის, მაგრამ ისინი არ დასთანხმდენ, რადგანაც მ. პეტრე ხალხისგან პატივცემული იყო. მ. ონისიმეს გული არ უსვენებდა და ბოლოს თვითონვე გაგზავნა მთავრობასთან უსახელო საჩივარი, რომელშიდაც სწერდა: მღვდელი პეტრე ხალხს ხელმწიფისა და მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებდა, კრებებზედ ცხარე სიტყვებს ამბობდა და სოფლის მოხელეებს ჰკიცხავდაო.

XXVI.

ერთ სასულიერო პირს აქებდენ, როგორც საუკეთესო მამულიშვილს და საზოგადო მოღვაწეს. იგი ბევრს ყმაწვილს ეწეოდა სწავლა-განათლების მიღებაში და სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა სასარგებლოდ უხვად სწირავდა. თანაც დიდი სტუმართ მოყვარე იყო საზოგადო მოღვაწენი იმასთან ხშირად იკრიბებოდნენ და კარგ სადილ-ვახშამს მიირთმევდენ. იმ ეკკლესიას, რომელიც ამ მოძღვარს ებარა, ჰქონდა რამოდენიმე ათასი მანეთი. რაოდენიმე წლის შემდეგ ფულები და შესავალ-გასავლის წიგნები გაჰქრენ.

XXVII.

მღვდელმა მარკოზმა სოფელში სკოლის დაარსება განიზრახა. თანაც მას ამ საქმეში სკოლების მეთვალყურე აქეზებდა. მართლაც დატრიალდა მამა მარკოზი და ერთ წელიწადში სკოლა გააჩაღა, ხალხი დაიყოლია და ფული გამოაღებია. ორ წელიწადს საქმე კარგად მიდიოდა, მესამე წელიწადს კი სკოლამ სული განუტევა. მღვდელმა სთქვა: მე მისთვის ვიშრომე და ხალხი შევაწუხე, რომ მეგონა მთავრობა ყურადღებას მომაქცევდა და დამაჯილდოებდა, ხოლო იმან კი მადლობაც არ მითხრა და აბა რისთვის შევიწუხო თავიო?!

XXVIII.

სამღვდელოების წარმომადგენელთა კრებაა. მამა დეპუტატები ძალიან კარგ გუნებაზედ არიან, ძლიერ იდეალისტობენ. დაადგინეს სამღვდელოების ფულიდან მოსწავლეთათვის სტიპენდიები დაინიშნოს და პირველდაწყებით სკოლებს სუბსიდია მიეცესო. ეს ამბავი გახმაურდა; გაზეთებმა მთელ საქართველოს მოსდეს. ამის შემდეგ გაიარა თვეებმა,, წლებმაც, და დანიშნული ფული კი არ შეიკრიბა. მღვდლები ამბობდენ: ვინ დაავალა დეპუტატებს, რომ ჩვენი ფული ასე უხვად გაეღოთო?.

№

ჩემი მადლობა, სამდურავი და ბოდიში.

ვისიც გავა, გავაო,
კინჭიც გავად გავაო.
ხალხ. ანდაზა.

ამა წლის „დროების“ მე-26 ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი „შიგნიდან ციხის გამტეხი ვინ არის,“ რომელიც ეხებოდა ქუთაისის ქალაქის პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა შორის ატეხილ კინკლაობას, რის გამო ამავე გაზეთის მე-40 ნომერში სამმა ამხანაგმა, სამედიატორო სასამართლოს წევრებმა, გამომიწვიეს მე სამედიატორო სამართალში იმიტომ, რომ ვითომ არავითარ სასამართლოს აბზიანიძე-ბურჯენაძეს შორის ადგილი არ ჰქონია და მე ჭორები და სიყალბე უნდა დამებეჭდოს; ამის გამო მე მრავალი ლანძღვა-გინებით დამაჯილდოვეს, როგორც ჩემმა მოწინააღმდეგეებმა, ისე მათმა მომხრეებმაც, ყოველ წერილში იმეორებდნენ „სასამართლოს ადგილი არ ჰქონია და ნაცვლიშვილმა ჭორები დაბეჭდაო“; ეხლა, მადლობა ღმერთს, გამოირკვა, უოფილა თუ არა სასამართლო. მადლობას ვწირავ ჩვენს მედიატორეებს, რომლებმაც აპრილის 28-ს და მაისის 5-ს განიხილეს ჩემსა და იმ სამ ამხანაგთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება (იხ. „დროება“ № 102) და მით დაამტკიცეს, რომ სამედიატორო სასამართლოს ადგილი ჰქონია და მეც ყოველივე სისწორით დამიბეჭდია გაზეთის ფურცლებზედ. რაც შეეხება ახალ ბრალდებას, რომელიც იმ დღეს წამოაყენეს ჩემმა მოწინააღმდეგეებმა მის შესახებ, რომ არ მქონდა უფლება გამომექვეყნებია გაზეთის ფურცლებზედ, ამაზედ მე სამივე ჩემს წერილში გავიმეორე და ეხლაც ვიმეორებ: განჩინებაში ჩვენ არ მოგვიხსენებია „განაჩენი პრესსაში გამოცხადდესო“, არამედ „გამოეცხადოს კორპორაციასო“, მაგრამ როდესაც განაჩენი არ შესრულდა და თან ჩემმა მოწინააღმდეგეებმა ორიგინალი დადგენილებისა მოიტაცეს, რათა მოესპოთ და ეძახნათ შემდეგ „სასამართლო არ ყოფილაო“, მაშინ მეც იძულებული გავხდი დამებეჭდა პრესსაში განაჩენის შინაარსი. საქმის გარჩევის დროს მე რამოდენიმეჯერ ვთხოვე ბ-ნ მედიატორეებს შეეტანათ მეორე მუხლში ეს შენიშვნა, მაგრამ სამწუხაროდ ჩემდა და სამხიარულოდ ჩემის მოწინააღმდეგებისა, არ ინებეს... არ შემიძლია არ შევეხო მედიატორეების მიერ გამოყვანილ დასკვნას მესამე მუხლში: ბრალდებაში წამოყენებული არ ყოფილა „სამედიატორო სასამართლო ნაჩქარები იყო თუ არა“, მაგრამ მედიატორეები მაინც შეეხენ ამ საკითხს, რათ შეეხენ, ან რა ქონდათ ამით სახეში, ამაზედ ლაპარაკი არ მსურს..., ხოლო ჩემი სიტყვები „განჩინება დავამყარეთ ნ. მესხის ჩვენებაზედ და გინცბურგის მიერ მოწერილ. წერილზედ, დანარჩენ ორ მოწმესთან ბრალდებულმა არ გაგვიშვა საკითხავად, რითაც დავრწმუნდით ჩვენ მისს ბრალდებაში“ — მედიატორეებმა არ შეეტანეს შენიშვნათ მესამე მუხლში, რაიცა მეტად საჭირო იყო იმისათვის, თუ ვინ, ან რამ გამოიწვია საქმის დაჩქარება. დასასრულ, ბოდიშს ვიხდი ყველასთან, ვისაც ჩემი პოლემიკის დროს გაცხარებულმა უნებლიეთ რამე ვაწყენინე, განსაკუთრებით მასწავლებელ ქალებთან, მაგრამ მარტო ჩემი ბრალი არ არის, მეტი ჩემს მოწინააღმდეგეებს და ამა ისტორიის თავის გამომჩხრეკლებს დააბრალონ. მე უფრო მეტი გამლანძღენ სიმართლისათვის. დასასრულ

ვაბოლავებ ამ ჩემს წერილს შემდეგი ლათინური ანდაზით: Amicus Plato, sed maqis amicus veritas est.

ლადო ნაცვლიშვილი.

ჭაღარა მგოსანს.

(პასუხად ქუთაის სიუბილეო საღამოზე თქმული სიტყვისა).

რატომ გვიბრძანე, დიდო მგოსანო,
„განმიტევეთო თქვენი ჭაღარა“?!
ნუ თუ მაგ გულიც დრომ უკულმართმა
ჩვენ დაგვიბერა და დაგვიღარა?!
არა, აღარ სთქვა, ტკბილო ბულბულო,
შენგან ხუმრობა მაგ ერთიც კმარა!..
მო, დაგვიმშვიდე სული ღელვილი,
ჩანგი მოაწყე ჩქარა და ჩქარა!...
როცა სამშობლო დაობლებული
ცრემლით ირწყვება, განსაცდელშია,
მაშინ სურვილიც მებრძოლი გმირის
თვით ერს ეკუთვნის, ქვეყნის ხელშია!..
აბა სამშობლომ რათ უხმო თორნიკს?!
რათ შეუშფოთა ბერსა ჭაღარა?!
ან თვით რათ აგდო მყუდრო სავანე
და ხელთ აიღო დაფი, ნაღარა?!
არა, მეორე ჩვენთვის თორნიკევ!
შენ შემოგცქერით დიდი, პატარა...
რას გიქმს, გმირთ გმირო, თმისა სიჭრელე,
თუ გულში იჭვი არ შეგპარვია?!...
ან მერცხალმა რომ ბუდით გადმოსხას
და მიატოვოს თვისი ბარტყები,
თვითონ—კი ცისკენ გაისრიალოს,
მოსასვენებლად ჰქნას ნავარდები,
მაშინ ხომ წახდა ბარტყების საქმე,
ხომ დაერია იმათ კატები,
რადგან დედასთან არ უფრენიათ,
რომ ევარჯიშნათ თვის ნორჩი ფრთები
და უსუსურებს არც კი ჰსმენიათ,
რა არის ბრძოლა, რა არის მტრები?!
შენს ძველ ბუდეში შენც გყავს შვილები,
ფრთები შეასხი, გიზრდია ყველა,
მაგრამ ბრძოლისა არა იციან
და ახლა უნდათ მათ შენგან შველა,
რომ გაწრთვნა შენი გამოცდილებით,
ასწავლო ბრძოლა, მტერებზე ძგერა,
„ანუ სიკვდილი ანუ სიცოცხლე,
ჯერ გამარჯობა და მერე მღერა!..“
არა, ბელადო! ვერ შეგელევით,
თუ გაწრთვნილ გმირებს არ მოგვცემ ბადლად,
მერე—კი ერი გზას დაგილოცავს
და თვის გულს გიძღვნის მგოსან—გმირს საგზლად!..
მაშ დაჰკა დაფსა!.. „უყიველე გმირებს!..“
მხნედ ჩამოუსვი მაგ ძველსა ჩანგსა
და დაგვიმტკიცე, რომ „ჭაღარაშიც“
აკაკი შესძლებს სიმართლის თქმასა!..

მღვდელი მ. კელენჯერიძე.

უფლების გადაჭარბება.

გაზ. „დროების“ მე-102 ნომერში დაბეჭდილია დადგენილება სამედიტორო სასამართლისა, რომელიც შესდგა მასწავლებელთა მ. კაკაბაძის, დ. ჩადუნელის, ა. ლორთქიფანიძის და კ. ნაცვლიშვილის შორის ჩამოკარდნილ უთანხმოების გასარჩევად. დადგენილების მესამე მუხლს სხვათა შორის დართული აქვს შემდეგი შენიშვნა: „როგორც თვით ეოთვალ სასამართლოს წევრებმა ერთსმად აღიარეს, სასამართლოს (ჩემ და ბურჯანაძის შორის) დადგენილება ეოთვალ ნაჩქარები და სერიოზულ გამოკვლევას მოკლებული“ და სხვა, რაზედაც არ შემიძლია არ შევნიშნო პატიცემულ მედიატორებს შემდეგი: 1) ორმა მედიატორემ კ. ნაცვლიშვილმა და ა. ლორთქიფანიძემ ერთი კეარით წინ, სანამ ზემოხსენებული სასამართლო შესდგებოდა, უკვე წარუდგინეს კომისიის წევრს, რომელიც ამ საქმეს იძიებდა, თავიანთი ჩვენება, სადაც მკაფიოდ და გარკვეით არის ნათქვამი, რომ აბზიანიძე—ბურჯანაძის შორის მომხდარი სამედიტორო სასამართლო იყო კანონიერი. ამასვე ამტკიცებს უფალ ნაცვლიშვილის მიერ ამ საქმის შესახებ დაბეჭდილი წერილები (ის. „დროება“

მე-26 ნომერი და „შინაური საქმე“ მე-15 ნომერი) ამასვე ამტკიცებს მისი წერილი, რომელიც აქვე იბეჭდება და თუ ს. ლორთქიფანიძემ ზემოხსენებულ სასამართლოს წინაშე თავისი ჩვენება შესცვალა, ეს მისი მხრით სამართლისთვის გზის ახვევა იქნება. 2) მესამე მედიტორესთვის, ს. ცხადაძისთვის, სულაც არ დაუკითხავთ, მაშ ორ მედიტორს მ. კაკაბაძეს და დ. ჩადუნელს თავიანთი თავი გაუწყეთლავთ უხტერ ადგილის ცოდვიათ და უთქვამთ: „სასამართლოს დადგენილება აჩქარებით მოგვიკიდია“, მედიტორეები კი თავიანთ განაჩენში სწერენ: „როგორც თვით ეოფილ სასამართლოს წევრებმაც (კიდევ კინ?!) ერთსმად ადიარესო“...) 3) თუ კი, პატივცემულო მედიტორეებო, დაინტერესებული პირი, ვ. ბურჯანაძე, რომელიც თავის თავად გამოცხადდა სასამართლოში, მთელი ერთი საათი ადაპარკეთ ს ა ა დ უ მ ლ ო თ, ნუ თუ ურიგო იქნებოდა ჩემთვისაც გეკითხათ, თუ როგორი იყო ჩვენ შორის მომხდარი სასამართლოს დადგენილება, ნაჩქარები თუ გაჭიანურებული. ამ საქმის შესახებ მგონი ათიოდე წერილი დაიბეჭდა სხვა და სხვა ყურნალ-გაზეთებში და არც ერთში კრინტიც არ ეოფილა დაძრული იმის შესახებ, თუ როგორი იყო სასამართლოს დადგენილება: ჩვენი მოწინააღმდეგეები ამტკიცებდენ, რომ ბზიანიძე—ბურჯანაძის შორის არჩევითარ სასამართლოს არა ჰქონია ადგილი, ნაცვლიშვილმა ციდი დასწამა ბურჯანაძესო და სიყალბე გამოამჟღავნაო“ (ის. „დროება“ მე-40 ნომერი) თქვენც, პატივცემულო მედიატორეებო, ბრალდების ეს ორი მუსლი უნდა გაგერჩიათ, ამასვე ამტკიცებს თქვენი დადგენილებაც, სადაც თქვენ სწერთ: „ბ-ნნი კაკაბაძე, ჩადუნელი და ლორთქიფანიძე ბრალსა სდებდენ ბ-ნს ნაცვლიშვილს, რომ მან გამოამჟღავნა შემრიგებელ კომისიის დადგენილება ისე, როგორც სამედიატორო სასამართლოსი, რის უფლებაც არა ჰქონდა, მასთან გამოამჟღავნა ეს დადგენილება ყალბათ და უმართებულოთ უწოდა მათ სიმართლის ჩამქრობიო“. სად არის ამ ნათქვამი, რომ „სასამართლოს დადგენილება იყო ნაჩქარებიო“? და ან კის წინააღმდეგ უნდა წამოეუნებიათ ეს ბრალდება, როდესაც იმ „ნაჩქარებ“ (თუ კი შეიძლება ეს სიტყვა გეწოდოთ) დადგენილებაზე სუთიეგ მედიატორს უწერიათ ხელი. ჩემთვის ამ-კარაა, თუ ვინ წამოაყენა ეს ბრალდება, მაგრამ ეს სრულიად არ შეადგენდა თქვენს მოკალეობას და თუ ეს თქვენ თქვენდა თავად იკისრეთ, იმ შემთხვევაში ზნეობრივათ და იურიდიულათაც კადდებული იყავით ჩემთვისაც დაგეკითხათ. ჩემ და ბურჯანაძის შორის ჩამოკარდნილ უთანხმოების კვლევა-ძიება დაიწყო გასულის წლის 28 მაისს. (იხილეთ ჩემი წერილი „საქართველო“ მე-10 ნომერი) მოხდა რამდენჯერმე კორპორაციის სხდომა, (სხვათა შორის ორი კერძო სხდომა მასწავლებლის ს. ლორთქიფანიძის ბინაზე) რომელსაც დასწრენ თითქმის ყველა ის ამხანაგები, რომლებმაც შემდეგში მედიატორობა იკისრეს და კიდევაც გაარჩიეს საქმე 20 ნოემბერს. თავიანთი განაჩენი დაამყარეს ნ. მესხის ჩვენებაზე და გინცბურგის მიერ მოწერილ წერილზე, დანარჩენ ჩემ მიერ დასახელებულ მოწმეებთან ბურჯანაძემ არ გაუშვა დასაკითხავად მედიატორეები. (იხილეთ ამის დასამტკიცებლათ ნაცვლიშვილის და ს. ლორთქიფანიძის წერილობითი ჩვენება კომისიის წევრის მიერ ჩამორთმეული) ნუ თუ ამ გვარ სასამართლოს დადგენილებას შეიძლება უწოდოს კაცმა ნაჩქარები და სერიოზულ გამოკვლევას მოკლებული. კისთვის ან რისთვის იყო საჭირო მისი გაგრძელებ-გაჭიანურება. მაშ რაღა უწოდოთ იმ სასამართლოს დადგენილებას, რომელმაც ორ სხდომაზე, არამც თუ დაკვლებული საქმე გაარჩია, არამედ ექვსი თვის განმავლობაში ნაკვლევ-ნაძიები საქმის შესახებ მომხდარ სასამ რთლოს დადგენილების გაბათილებაც კი მოასურვა. 4) მეორე მუსლში ნათქვამია: „ნაცვლიშვილს არ ჰქონდა უფლება ბრესის საშუალებით გამომეყენებინა სასამართლოს დადგენილებაო“. ნაცვლიშვილს რისი უფლებაც არ ჰქონდა, ეს მან თვითონ აღიარა უკვე თავის წერილში, (იხილეთ „დროება“ მე-26 ნომერი) ხოლო გამოამჟღავნა მაშინ, როდესაც მედიატორეებმა დადგენილება საერულეში არ მოიუვანეს და დადგენილების ორიგინალი მოიტაცეს და მოსპეს.

რაკი ეს საქმე საზოგადოების ყურამდის მიეიდა, ეოველ ადამიანს ეძლევა უფლება გამოსთქვას თავისი აზრი, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საქმე ამ მხრითაც ესე იგი თუ რ ი გ ო რ ი იყო ჩვენ შორის სასამართლო, ბრესის საშუალებით აქნება გამოკვლეული

თვინიერ ამისა კი კერძო ადამიანის (თუნდა სამედიატორო სასამართლოსი) აზრის გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებას შეუძლია მკითხველი საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს, მაგრამ ამას ისიც უნდა დავსძინო, რომ კომისიას უფრო კრცელი და აუჩქარებელი გამოძიება აქვს ხელში და არ კფიქრობ, რომ კერძო პირის აზრით და ან რომელიმე სამედიატორო სასამართლოს დადგენილებით ხელმძღვანელობას საჭიროებდეს აგი.

ნიკო აბზიანიძე.

კრიტიკა.

„ბედი ქართლისა", პოემა ნ. ბარათაშვილისა.

(გაგრძელება *).

ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთს თვის ლექსში („ფიქრი მტკვრის პირზე") ნამდვილად, თუმცა ცოტა არ იყვეს რიტორულადაც, ხატავდა, ჩემის აზრით, მეფეთა გულის თქმას, ფიქრს, როდესაც იმათ ათქმევინებს: „როდის იქნება ის სამეფო ცა ჩვენი იყოს და აღიძვრიან"... აქ კი, ამ პოემაში მეფე ირაკლი II არა თუ ამ სურვილით არის გატაცებული, არამედ თვისი ნება-ყოფლობით, თუმცა საშინლათ აღშფოთებული და გამწარებული, თვის სამეფოზე ხელს იღებს და უმაღლესი უფლებით შეჭურვილს სამეფო გვირგვინს თავიდან... იხდის.

რისი მიზეზით მოხდა ასეთი ამბავი, რამ დაბადა ესეთი მოვლინება?

შევჩერდეთ აქ, რომ უფრო გავარკვიოთ პოეტის მიერ წამოყენებული დიადი საგნის, საქართველოს ბედის გადაწყვეტის მიზეზი და ამ ისტორიულს მშრალს ამბავს ფილოსოფური ახსნა მოვუძებნოთ.

ჩვენ წინათ ნათქვამი გვქონდა, რომ რომანტულს მიმართულების ნაწარმოებში ძნელი საპოვნელია ისტორიულ მოვლინებათა ჭეშმარიტი და მართალი შეგნების აზრი. ეს იმიტომ, რომ იმას ხელსამძღვანელო დედა აზრებად, საფუძვლად შემუშავებული არ ქონდა არავითარი ფილოსოფური, მეცნიერებაზე დამყარებული სოფლიოზე შეხედულება. ისტორიის მოვლინებათა, ამბავთა ასეთს თუ ისეთს მსვლელობას იგი ყოველთვის ბედის წერას (ფატალიზმი) ან შემთხვევას აწერდა და ამით, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას უწევდა თვით ისტორიას და ლოგიკას. ერთი შეხედულობაც და მეორე შეხედულობაც უმეცრების ნაყოფია და, მაშასადამე, მტერია მეცნიერების, რადგანაც ორივე უაზრობა იმ ხასიათის არის, რომ მიზეზი განაშოროს შედეგისგან, აზრი—საბუთისგან, ადგილი მოუსპოს მართალს ლოგიკურს დასკვნას და მსჯელობას...

რასაკვირველია, ნიკოლოზ ბარათაშვილმაც ვერ გაუგო აზრი საქართველოს თვით-არსებობის მოსპობის ამბავს და იმის ბედის გადაწყვეტა მხოლოთ ერთის კაცის, მოხუცებულის მეფის ნება-ყოფლობას, თვით-ნებობას მიაწერა... ეს დედა-აზრი მგოსანის შესანიშნავი ნაწარმოებისა დაედვა საფუძვლად მთელს ჩვენს საისტორიო სალიტერატურო მოძრაობას, რომელსაც ვუწოდებ ნაციონალურს.

საზოგადოთ, ერის პოლიტიკური ცხოვრების წარმატება, თუ გაჭრწნილება, დაშლა მჭიდროთ არის დამოკიდებული თვით ერის წარსულის და აწმყო ცხოვრების ვითარებაზე. ხშირათ უეცრივ თავზე დამტყდარი განსაცდელი და უბედურება ერისა ჩვენა გვგონია მოულოდნელი ბედის წერის, ან შემთხვევის საქმე, რომელიც სრულიათ უმიზეზოთ, უგანაჩენოთ არბევს მთელს ცხოვრებას, ერს წარმატების გზას უსპობს და აზრით მიუწდომელს, სასწაულთმომქმედ მოვლინებას ქმნის. მაგრამ ნამდვილათ კი ასე არ არის.

ყოველი მოვლინების, ფაქტის ახსნა, მიზეზთა გამორკვევა თვით ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ და რამდენათ უფრო მეტს ჭკუას და ნიჭს გამოვიჩენთ ნამდვილი ცხოვრების რთულს მოვლინებათა შესწავლა-შეგნებაში, იმდენათ უფრო გაბედულათ შეგვეძლება ნაბიჯის წინწადგმა, თვისი საკუთარი ვინაობის და გარეშე ცხოვრების გაცნობა... თითონ ცხოვრება ამუშავებს ისტორიის ასეთს, თუ ისეთს ამბავს, იგი აძლევს ფერს და შინაარსს მოვლინებას, უმზადებს ნიადაგს ერის პოლიტიკური ცხოვრების წარმატებასაც და ბოლომოღებასაც. ერი და იმის ბედის გამგენი თვით კი ვერ ცნობენ მომხდარი ამბავის აზრს, ვერ არკვევენ იმის შინაარს და შორის გზით მსვლელობას. მხოლოთ მაშინ, როდესაც განსაცდელი, უბედუ-

*) იხ. „შინ. საქ." № 18.

რი ამბავი ერს თავზე დაატყდება და იგი ისტორიის საკვლევ ფაქტათ გახდება, გზადაბნეული და დარეტიანებული ერი მწარე მდგომარეობაში ვარდება და იმ სურვილით იხელმძღვანელებს, რომ იმის განცალკევებულმა წევრებმა სათითაოთ თავს უშველონ და უბედურობას თავი დაახწიონ...

უწინდელს დროში ყოველგან და, რასაკვირველია, საქართველოშიაც განუწყვეტელი ომები, რომელნიც „დღემუდამ ჟამსა ყოველსა“ თხოულობდენ ერის განცალკევებულს ნაწილთა მოსწრებულს და მარჯვეთ შეკავშირებას, შეერთებას, მიუცილებლათ, ამუშავებდენ იმ საჭირო მოთხოვნილებასაც, რომ ერი ერთს ბრძანებელს დამორჩილებოდა. ბინადრობასთან ერთათ, ერის ცხოვრება ამ მოთხოვნილებასაც ზრდიდა და ის სამეფო, რომელიც დამორჩილების რიგს და ერთი ბრძანებლის დაქვემდებარების ნიჭს, შედარებით, სუსტათ იჩენდა, უნდა მომკვდარიყო პოლიტიკურათ, და ადგილი დაეთმო ამათთვის, რომელთაც ეს ნიჭი, ეს დროის და გარემოების შესაფერი რიგი და ხერხი უფრო ძლიერათ და მარჯვეთ გამოიჩინეს. ისტორიულ ერთა ძალ-ღონის ტრიალი, იმისი ნივთიერი ცხოვრება და ადგილის მდებიარება, თავის მხრით, ყოველგან და ყოველთვის ამ ცხოვრების და მდებიარეების შესაბამს პოლიტიკურს წესწყობილებას და ფორმას ამუშავებს და ახორციელებს. ამიტომაც—ასე ვთქვათ—თვით სამეფოთა შორის ატეხილმა ბრძოლამ არსებობისათვის თან-და-თან, ნელ-ნელა შეამუშავა ისეთი სახელმწიფო სისტემა, რომელიც ერთი ბრძანებლის მორჩილების და დაქვემდებარების მოთხოვნილებას ზრდიდა და ანვითარებდა. ერთი ბრძანებლის უფლების ქვეშე ყოფნა, აგრედწოდებული ცენტრალიზაცია საზოგადო ისტორიულ მოთხოვნალებათ გადაიქცა ყოველგან და აზრი ქონდა ცხოვრებაში მანამდის, სანამ ბურჟუაზული რევოლიუციის ქარიშხალი არ ავარდა ქვეყნად... საქმე ის არის, რომ ევროპამ ჯვაროსანთა ომების გათავების შემდეგ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, წინ წაიწია და თან და თან შეამუშავა და გაიძლიერა ახალი საზოგადობრივი ელემენტი, ქალაქებში მცხოვრებნი, იმიტომ რომ იმ ს გარემოება, ისტორია შველოდა ფეხ-ადგმული ძალების გაძლიერებას, შინაური ცხოვრების ჩაკვირვებას და წარმატებას. მე XVI საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო ამ მოქალაქეთა აღებ-მიცემობის და ნივთიერი წარმატების ერა, რომელსაც თავის თავათ მოყვა მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ამ მოქალაქეთა შესაფერი პოლიტიკური პრინციპის საქვეყნოდ განხორციელება და ერთა უწინდელი სახელმწიფო მოთხოვნილების უარის ყოფა...

პოლონეთმა და საქართველომ, ფეოდალურს ხანაში, უარ-ჰყვეს პოლიტიკური ცენტრალიზაცია და, ამიტომაც, ორივე მწარეთ დაისაჯა...

სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ერების არ იყვეს, ჩვენი ერიც ჩამორჩა ევროპელთა კულტურულს ვითარებას... საქართველოში მოქალაქეთა გაძლიერებას და წარმატებას ნიადაგი არ ქონდა, გარემოება ყურთასმენას და ტვინის ძალას მოსვენებას არ აძლევდა, ცხოვრება მოცლას არ ანიჭებდა მას თავალი გულ-დამშვიდებით, ჩაფიქრებით გადაეველო თვისი შინაური ავის და კარგის ცხოვრებისთვის და შეძლებისდა გვარათ დადგომოდა წარმატების, მადლიანი სამოქალაქო მოძრაობის გზას.

საქართველო დასაწყისიდან, ისტორიის სარბიელზე გამოსვლისთანავე მტერს იგერებდა და თვის თავს იცავდა. ასეთი იყო ჩვენი ისტორია. ასეთს ცხოვრებას, როგორც სხვაგან, ისე საქართველოშიაც უნდა შეემუშავებია ისეთი სახელმწიფო სისტემა, რომელიც წინაალმდეგობას გაუწევდა აზიის შუაგულ არე-მარის და სხვა მხრებიდან მოსასპობლად მოწოლილს რისხვას. მართლაც, საქართველო ფარნაოზ მეფის დროიდან პირველათ შეეცდა ამ საქმეს, თუმცა საჭიროება და მოთხოვნილება ცოტა წინათაც იყო *). ამ სისტემის გახორციელებას

*) რამდენიც ქართული საისტორიო ლიტერატურას ვუკვირდები და ვსწავლობ, იმდენათ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ მას არ ეტყობა რიგიანი, სისტემატური შემუშავება, რაიმე ვეცნიერული ხასიათი, რომ შეგნებულს ქართველს წარმოდგენილი ჰქონდეს ერთი ზოგადი აზრი საკუთარი ვითარებისა, ქართველ-

საქართველო უფრო გულ-მოდგინეთ და ძამაცურათ ბაგრატიონების მეთაურობით შეუდგა, ასე რომ ცენტრალიზაციის დროთ თამამად შემიძლია ჩავთვალო 1089—1445 წ., დავით აღმაშენებელიდან მოყოლებული, ვიდრე საქართველო სამს სამეფოთ განიყოფებოდა... მართალია, ცენტრალიზაციას ძალ-დატანებითი პოლიტიკა მოყვა, მაგრამ მაშინ არც აფრიკის ველურ ხალხსავით თავაღერილობა გამოდგებოდა, რადგანც ესეთი მოვლინება უფრო მწარე განსაცდელის და გაჭირების შედეგი იყო. სხვა ხალხთა მოსასპობლათ მოწოლას და რისხვას რომ შეჭიდებოდა ეს ერთი „ბოხჩა ქვეყანა“, საჭირო იყო თავგასული ერისთავების, დიდ-კაცების თვით-ნებობის დასუსტება, კერძო კაცის ძალ-ღონის და შეძლებულობის იარაღათ გამოყენება, რომ სხვა და სხვა, ათასნაირს გარეშე მტერს არ მოესპო თითონ ერი და აქედან ამ ერის წევრთა არსებობაც. გვეტყვიან, სულ ერთი არ არის, ვინც ყოფილა, გინდ ძმას შევუპამივარ, გინდ სხვასო. ვინც ამბობს ამას, იმას წარმოდგენილიც არა აქვს მაშინდელი დამონავების სიმწარე, ცოცხლათ რომ ჰამდენ ადამიანებს, და ჩვენც იმათთან სალაპარაკოთ არა გვცალია...

ხომლელი.



ყოველად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ცირკულიარი.

როგორც ამბავი მოსდის რწმუნებულ ჩემდამო ეპარქიის ყოველ კეთილგან, უკანასკნელ დროს ხალხში იჩინა თავი ყოველად არა კეთილმა და ფრიად საწყენმა მოქცევამ ტაძრების მიმართ; მაგ. დაიწყეს თამბაქოს წევა ღვთის მსახურების დროს, თავდახურული დგომა, ხმამაღლა ლაპარაკი, მოუკვებელი სიცილი, უმგკანი ხუმრობა, უმართებულო ოხუნჯობა და სხვა უშვერობა. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ ასეთი უმართებულო ქცევა უფრო ხშირათ ხდება ეკლესიაში ქორწინების დროს, რომელიც, საწყენაროთ, ღამე სრულდება ხოლმე.

ვწუხარ რა სულით კეთილგრძნობელების გრძნობის ასეთ დაცემაზე მართლმადიდებელ მკვიდრთა შორის და ვაწერ რა ამ გარემოებას მწყემსთა სინესტეს, ამით მივუწერ მ. მ. ბლაღოჩინებს დავავალონ საძღვნელოება: ა) ყოველ ეკვრის წერაზე მოაწკიონ ხოლმე პოლიციის მოხელენი და სთხოვონ მათ, არ შეუშვან ეკლესიაში ბავშვები, მოსწავლეები და უბრალო მაყურებელთა ბრბო; ბ) ეკვრის წერა შესრულონ უთუოდ დღისით, არა აგვიანეს ნაშუადღევის 4 საათისა. და გ) რომელიმე მეუდრეების და წესიერების დარღვევისათვისაც მღვდელმა მღვდელმოქმედებს დაუფონებლივ თავი დანე.

თა განვლილი ცხოვრებისა... ქაროველ „ისტორიკოსებს“, მართალია, თამამათ ამოაქვთ ჩვენი ისტორიიდან მასალები. სჯავრსაც დებენ მთელს ისტორიულ ხანას. მაგრამ, რადგან სისტემატიურად განხილული და მეცნიერულათ დაფასებული ფაქტები მათ არ გააჩნიათ, იმათი ნაშრომი კარგავს სამეცნიერო ღირსებას და ავტორის მიერ შეთხზული ზღაპარი გამოდის. ის გარემოებაც, რომ „ქართლის ცხოვრების“ შედგენის დროს ვახტანგ მეფეს, ვახუშტის და ბატონიშვილს თეიმურაზს არ დაუსახელებიათ წყარო, საიდანაც მოუყვანიათ ქრონიკაში ჩართული ცნობანი, სრულიათ უკარგავს ადამიანს „ქართლის ცხოვრებისადმი“ ნდობას. ავიღოთ, მაგალითად, ერთი უშესანიშნავესი ფაქტი ჩვენი ისტორიისა —თამარ მეფის ამბავი. „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, თამარ მეფე, ეს გასაცვიფრებელი ადამიანი ჩვენი ისტორიისა, რომელმაც დაარსა ტრაპიზონის იმპერია და მთელს ქვეყნიერებაზე სახელი გაითქვა, „ყო ასული საქართველოს მეფის გიორგი მესამისა (ბაგრატიონის), ბერძნების ისტორიკოსების ცნობით და იმათისავე სიტყვით ინგლისის და ნემკების საისტორიო წყაროების მოწმობით, თამარ მეფე ყოფილა ასული ბიზანტიის იმპერატორისა, რომელსაც თვისი თამარი თფილისის მეფეთა მეფისთვის მიუთხოვებია... ხომ გასაშტერებელი ამბავია, მკითხველო! ასე გავშტერდი მეც მაშინ, როდესაც წავიკითხე ერთს რუსულ გაზეთში ფელეტონი ბერძენი ისტორიკოსისა თამარ მეფის შესახებ.

ახლა ამის შემდეგ რაღა ფასი და ნდობა უნდა ექნეს „ქართლის ცხოვრების“ სხვა ისტორიულ ცნობებს!? განსვენებული დ. ბ. ბაქრაძის შემდეგ, რომელიც არქეოლოგოსი უფრო იყო, ვიდრე ისტორიკოსი, ამ უკანასკნელს დროში ჩვენს ლიტერატურაში ყურადღება მიიქცია პრივატ-დოცენტმა ი. ჯავახიშვილმა თვისი დამაფიქრებელის და საინტერესო წერილებით, თუმცა ამ წერილებს საფუძვლიანობა ძალიან აკლიათ. სხვებზე, ცოცხით მისაგავ „ისტორიკოსებზე“, რომელთა სახელი ლეგიონ, ლაპარაკიც არა ღირს. განსვენებული გ. წერეთლის წერილები, მომეტებულათ, მოკლებულნი არიან სამეცნიერო ხასიათს და წარმოადგენენ უფრო რომელი-

ბოს, ხოლო პოლიციის მოხელემ ოქმი შეადგინოს დამნაშავეზე.

ამ ტირკულიარის პირი ყოველად სამდგომლოს ქუთაისის გენერალ გუბერნატორისთვის გაუგზავნია და დასმარება უთხოვნია. გენერალ-გუბერნატორს ამის შესახებ შემდეგში ტირკულიარი გაუცია:

წინადადებ რწმუნებულ ჩემდამო რაიონის უფროსებს დაავალებულოს სათანადო პოლიციის მოხელეები, იქონიონ ფხიზელი ყურადღება, რომ ხალხმა დაიცვას კეთილწესიერება არა თუ მხოლოდ ეკლესიაში, არამედ ეკლესიის გალავანშიდაც, სოლო ქორწინების დროს გაგზავნონ პოლიციის აგენტები ყოველთვის, როცა ამას მოითხოვს მღვდელი.

კეთილწესიერების ყოველ დარღვევის დროს უნდა შედგენილ იქმნეს ოქმი და წარუდგინდეს სათანადო მართებლობას დამნაშავის დასასჯელად.

—აი სადამდის მივიდა საქმე! და რა მადლიერი უნდა ვიყოთ იმ მოძრაობისა, რომელმაც ასე გაანადირა მორწმუნე ხალხი?!... ნუ თუ ასეთ მოძრაობასაც განმათავისუფლებელი ეწოდება?!

განჩინება

1909 წლისა აპრილის 19-სა ჩვენ არჩეულმა მედიატორებმა მოვასმინეთ რა სარჩელი ბრალდებულისა სერგო ბესარიონის ძის ჯინჭველაშვილისა და პასუხის გება სანდრო ზაქ. სკანძისა შესახებ მათ შორის ატეხილ უსიამოვნებისა, რომელიც მოხსენებულია გაზ. „ალის“ № 37 და № 33 წასული წლის ნომრებშიდ და განმარტება „შინაური საქმეების“ ამა 1909 წლის მეორე ნომერშიდ; მოწმეების ჩვენების და ზოგიერთ წერილობითი სიბუთების გასინჯვის შემდეგ გამოვიკვლიეთ შემდეგი: 1. შესახებ იმისა, რომ ვითომც სანდრო სკანძეს და მუსიანის სიდგურის უფროსის თანაშემწეს მუმლაძეს ერთად სხვა პირებთან უნდა შეედგინოთ წინასწარი გეგმა, რათა ჩაედინათ უწესობა და ჩაშალათ სიაუბილეო დღესასწაული შიდ დეკემბერს სიდ. მუხიანაშიდ, ვსცანით პროტოკაცია და ტრუ ხმებით, 2. გამოიკვეა, რომ სიაუბილეო დღესასწაულის დამთავრების შემდეგ დარჩენილა ნაწილი კრებისა სხვა და სხვა საკითხის შესამუშავებლათ (მღვდლები და მასწავლებლები) და თხოვნების შესადგენათ, რომლის დროს მოხდა მათ შორის უსიამოვნება და არა თვითონ სიაუბილეო დღესასწაულის დროს, როგორც ნათქვამია ბრალდებაშიდ. 3. როდესაც თხოვნა მიუწოდებიათ სანდრო სკანძისათვის ხელის მოსაწერათ მას ერთად სხვა პირთან არ მოსწონებია ფორმა თხოვნისა, და თანაც შეტოლმება უნახავს შიგ, რის გამო უარი უთქვამს ხელის მოწერაზედ, და დაუმა-

---

მე ამბავის კარგის, შვენიერის ლიტერატურულის ენით მოთხრობას, ვიდრე ამ ამბავის კრიტიკულათ ძიებას, განხილვას და ახსნას.

მაგალითად, ერთს თვის ისტორიულს წერილში გ. წერეთელი მხოლოთ ფარნაოზ მეფის თვითნებობას აწერს, რომ მან სპარსული სახელმწიფო წესწყობილება შეისწავლა და საქართველოშიერთ მეფობა შემოიღო. გ. წერეთელი ზიზღით იხსენიებს ამ გარემოებას, წუხს, რომ ძველებური მამასახლისობით მმართველობა მოსპო ფარნაოზმა, თემებათ დაყოფილს ხალხს თავისუფლება (?!) წაართო და ამნაირის საშვალებით ერთმა კაცმა დაიწყო ბატონობა და სრულიათ დაიმორჩილა ხალხი. მას აქეთ საქართველო დაეცა და კიდეც დაიღუპაო. ყალბს წინეთ აღებულს აზრს იქამდის მიუყვანია ნიჭიერი ავტორი, რომ იქ, სადაც ბედავს საქართველოს დაღუპვის საქმეს, მე ვამჩნევ ერის მოწიფულობის, პოლიტიკური აზრის განვითარების ზანას. როგორც ჩანს, ფრიად ნიჭიერს ბელეტრისტს, ისტორიის მოთხოვნილების და ვითარების ხარისხებზე სამეცნიერო დედა-აზრი არ ქონდა

შემუშავებული. გულჩვილი კაცი იყო განსვენებული. მაგრამ.., მაგარი ის არის, რომ განუკითხველს ისტორიას გულ-ჩვილების არაფერი წამს. გ. წერეთლის მიერ შეთხზული მეფე თვალთ-მაქცია, ხლაპრის ერთი საოცარი დევგმირია, რომელიც ხალხის მოთხოვნილების წინააღმდეგ ახორციელებს წინათვე ცნობიერათ გამორკვეულს აზრს. ეს მე არ მაკმაყოფილებს, ვინაიგან ასეთს თვალთ-მაქცობას ყოველგან და ყოველთვის უარს ვყოფ და ვიცი, რომ ისტორიაში მხოლოთ ისეთი კაცი ახერხებდა საქმის გაკეთებას და ადამიანთა კრებულს მიაღებინებდა რასმე, რომელიც გამომხატველი, განმახორციელებელი იყო საზოგადოების და ხალხის აზრის, სურვილისა და სულს ჩაუდგამდა ამ საშვალებით იმ საზოგადო მოთხოვნილებას, რომელიც ცხოვრებაში წინათ მომზდარ ამბებს ძალდატანებით შეემუშავებია.

გ. წერეთელი, ანტონ ფურცელაძე („ბაგრატიონთ დიდება“), ი. გოგებაშვილი („რასა კიუკოთ გუშინ“) და სხვებიც უწინდელი სოციალისტების აგრე წოდებულ. უტოპისტების გაკვლის ქვეშ

ტებაა: „თხოვნა სულელურად არის შედგენილია“; ამის გამო სერგო ჯანჯველაშვილს შემდეგი უწესო სიტყვებით მიუმართავს სვანაძისთვის: „я съ дуракомъ дѣла не имѣю“, ამ უმართებულო სიტყვებს გამოუწვევია მაშინვე მოქმედებით შეურცხყოფა ჯანჯველაშვილისა სვანაძის მიერ, ამის გამო ჩვენ გამოვიტანეთ შემდეგი განჩინება: დამნაშავეთ ვსცანით ორივე პირნი მათ მიერ ჩადენილ უწესოებაშიდ დამსწრე საზოგადოების წინაშე, ამის გამო ბოდიში მოიხადონ ერთი მეორესთან და ამ ინციდენტის დროს დამსწრე პირებთან და დღეიდან შერიგდენ და მოსპონ ურთიერთ შორის ამის შესახებ ყოველივე უკმაყოფილება. თავმჯდომარე დომენტი ი. შერაშენიძე, მედიატორები: ალექსანდრე გ. ლეკვაკვ, ვლადიმერ ნაცვლიშვილი, მელიტონ ქუთათელაძე, ბესარიონ ჩიბურდანიძე.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მჯედლიძე.**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა.**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვამზადებ შეგირდებს

ყოველ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისთვის.

ადრესი იკითხეთ გაზ. „შინაური საქმეების“ რედაქციაში.

იუნენ და ხალხის კომუნიზმს, თავისუფლებას (!) ესარჩლებოდენ. ამათ თავიანთი შეხედულობა და სურვილები ისტორიაში გადაქონდათ და ისტორიის ფაქტებს თავიანთ გუნებაზე ბურბუშელასავით ათამაშებდენ.

ავტორი.

ქ. ქუთაისში კაზაკოვის ქუჩაზე სახ. № 17,

გაიხსნა პირველი ქალთა ოთხკლასიანი

პროგიმნაზია

სახელოსნო განყოფილებით,

სადაც საპროგიმნაზიო საგნების გარდა ასწავლიან ჭრა-კერვას, ხალეების, ფარდაგების, ჩულქების, ტილოების და მიტკლების ქსოვას, ბაშმაკების კერვას და სხ.

წლიური გადასახადი პროგიმნაზიაში 30 მან., სახელოსნო განყოფილებაში 40 მ.

პროგიმნაზიულ კლასებში მოსწავლე ქალები კურსის დამთავრებასთანვე ათავებენ სახელოსნო განყოფილებასაც.

სასწავლებელმა უკვე დაიწყო მოწაფეების მიღება როგორც პროგიმნაზიულ კლასებში, ისე სახელოსნო განყოფილებაშიდაც.

ვამზადებ სამღვდელო და სადიაკვნო საგნებში,

აგრეთვე სამასწავლებლო ეკზამენის ასაღებად. ადრესი: ქუთაისი, კაზაკოვის ქუჩა, № 17.

დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი წიგნი მღვ. მ. კელენჯერიძისა:

თორმეტ სიტყვიერებისა — მეორე დასრულებული გამოცემა. ფასი 40 კ. იყიდება ქართული ქრესტომატია — მისივე I, II, III და IV კლასებში საკითხავი წიგნი.

იკითხეთ: ფოთში ავტორთან, ქუთაისში ი. კვიტარიძესთან და ვ. ბეკეზნაშვილთან, თბილისში ნარკვეთხვის საზოგადოებაში.

Типографія І. М. Хелаидзе въ Кутаисѣ. Александровская ул., д. д-ра Гокіелова.